

იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის
სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის
მოვალეობის შემსრულებელს ბ-ნ. დავით მახაშვილს,
ამავე უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს
და კოლეგიურ საბჭოს,
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის
შალვა ჭკადუას

წლიური ანგარიში

ბატონო დავით, ქალბატონო ნუნუ,

იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სახელით, წარმოგიდგენთ სამსახურის წლიურ ანგარიშს.

მოგახსენებთ, რომ 2013 წლის 8 თებერვლიდან ხარისხის სამსახურში განხორციელებული საკადრო ცვლილების შედეგად, რექტორის ბრძანებით დავინიშნე თელავის სახ. უნივერსიტეტის, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის თანამდებობაზე.

2013 წლის რვა თებერვლიდან დღემდე, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა განახორციელა შემდეგი აქტივობები:

1. სკოლის დეკანატებთან ერთად წარმატებით დაასრულა 2012-2013 წლის მეორე სემესტრის შიდა და გარე მობილობა.

ხარისხის სამსახურის ინიციატივით ცვლილებები შევიდა უნივერსიტეტის დებულებებში, კერძოდ:

1. იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ყველა საფეხურის სტუდენტთა სტატუსის მინიჭება, შეჩერება/შეწყვეტის, აღდგენისა და მობილობის წესით გადასვლის/გადმოსვლის/დაბრუნების შესახებ (ცვლილებები

შეტანილია უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს სხდომაზე, ოქმი# 13.2013 წლის 3 აპრილს)

2. იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში საბაკალავრო ნაშრომის შემუშავების, გაფორმების, დაცვისა და შეფასების წესის შესახებ (ცვლილებები შეტანილია უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს სხდომაზე, ოქმი# 13. 2013 წლის 3 აპრილს
3. იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესისა და სტუდენტთა ცოდნის შეფასების სისტემის შესახებ (ცვლილებები შეტანილია უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს სხდომაზე, ოქმი # 13. 2013 წლის 3 აპრილს)
4. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება.

ასევე მოგახსენებთ რომ სკოლების ხარისხის სამსახურების უფროსებთან, სამსახურების უფროსებთან და საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელებთან ერთად ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა წარმატებით დაასრულა ყოველწლიური თვითშეფასების ანგარიშების მომზადება და წარდგენა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.

უნივერსიტეტის ხელმძღვანელობასთან ერთად ხარისხის სამსახური მომავალი წლისთვის გეგმავს მრავალი სიახლის ინიცირებას. ინიციატივები წარმოდგენილი იქნება ეტაპობრივად .

მინდა მადლობა მოგიხადოთ ნაყოფიერი თანამშრომლობისთვის და იმედს ვიტოვებ, რომ სამომავლოდ მეტი სასიკეთო ღონისძიებების გატარება მოგვიწევს ჩვენი უნივერსიტეტის საკეთილდღეოდ.

პატივისცემით,

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი:

შალვა ჭკადუა